MES 3 21 0001122388

21/10/2021

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრ ები:

1. **დავით მალაზონია -** შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;
2. **ქეთევან ბოტკოველი -** სსიპ - ქალაქ თბილისის N195 საჯარო სკოლის პედაგოგი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს მდივანი;
3. **გიორგი გიგიბერია -** ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
4. **ქეთევან ნატროშვილი** - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
5. **პერტე ბაბილუა -** შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
6. **ლიანა კობესაშვილი -** შპს „ინტელექტი XXI - ის“ მასწავლებელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
7. **მაკა მამფორია** - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
8. **ეკატერინე კვირიკაშვილი -** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
9. **ზვიად გოგუაძე -** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

თამარ შენგელია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
თამარ რატიანიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ნათია მჭედლიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ - თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრი
სკოლის დირექტორი - მარინე შოსტაკი
სასწავლო ნაწილის გამგე - თამთა თათულაშვილი

შპს ოქლიფის სკოლა
სკოლის დირექტორი - მაია გურგენიძე
სკოლის წარმომადგენელი - ლიკა გიორგაძე

შპს დეა
სკოლის დირექტორი - ვერა ყურულაშვილი

შპს აისი
სკოლის დირექტორი - სესილი ქადარია

4.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

ა(ა)იპ - თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრი
მაია ინასარიძე
ნინო გვარამაძე

შპს ოქლიფის სკოლა
სერგო დურგლიშვილი
ნინო ბალანჩივაძე

შპს დეა
მარიამ ხუციშვილი
მაგდა ბარამიძე

შპს აისი
ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი
ნინო მუმლაძე

სხვა დამსწრე პირები:
ხათუნა ბარაბაძე - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი;
თამარ ჟღენტი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, დავით მალაზონია. ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა 2021 წლის 6 ოქტომბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 14:00 საათზე.
სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის თანამშრომელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის გამოქვეყნებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ - თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს დეას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
3. შპს ოქლიფის სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. შპს აისში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. შპს ცოდნა-ნათელა მურადაშვილის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა იქნა წარდგენილი საბჭოს წევრის, ლიანა კობესაშვილის მიერ. საბჭოს წევრმა, ლიანა კობესაშვილმა განაცხადა თვითაცილება შპს ოქლიფის სკოლის საკითხის განხილვასთან მიმართებით. მისი განმარტებით მას აკადემიური შრომითი ურთიერთობა აკავშირებდა აღნიშნულ დაწესებულებასთან. აქვე, საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ განაცხადა, რომ გადაუდებელი აუცილებლობის გამო ის 16:00 საათზე დატოვებდა საბჭოს სხდომას. ცენტრის წარმომადგენელმა, თამარ შენგელიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს შემდეგი შუამდგომლობებით. დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-3 საკითხი - შპს ოქლიფის სკოლაში განხორციელებული

მონიტორინგის შედეგების განხილვა, გადმოსულიყო მეორე საკითხად საბჭოს წევრების ქვორუმის მიზნებიდან გამომდინარე. ასევე, დღის წესრიგს მომდევნო საკითხად დამატებოდა, ,,შპს თამარ ფაჩულიას საავტორო სკოლა-გიმნაზიის ავტორიზაციის შესახებ" ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 15 თებერვლის N13 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობები და დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. ა(ა)იპ - თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ოქლიფის სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. ,,შპს თამარ ფაჩულიას საავტორო სკოლა-გიმნაზიის ავტორიზაციის შესახებ" ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 15 თებერვლის N13 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;
4. შპს დეას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
5. შპს აისში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. შპს ცოდნა-ნათელა მურადაშვილის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ საკითხის განხილვა.

1. ა(ა)იპ - თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით.
საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ცენტრის წარმომადგენელმა, თამარ შენგელიამ განმარტა, რომ 2021 წლის 26 აგვისტოს საბჭოს სხდომაზე განიხილებოდა ა(ა)იპ - თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრის ავტორიზაციის საკითხი, რომელზეც საბჭოს წევრებმა იმსჯელეს და შუამდგომლობით მიმართეს ცენტრს აღნიშნული საკითხის განხილვის გადადების თაობაზე. მისი განმარტებით, საბჭოს წევრებს გადაწყვეტილების მისაღებად სჭირდებოდათ დამატებითი ინფორმაცია ინკლუზიური განათლების საკითხებთან მიმართებით. საბჭომ ითხოვა სხდომაზე, რომელზეც მოხდებოდა საკითხის შემდგომი განხილვა, მოწვეული ყოფილიყვნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან და ასევე, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრიდან ინკლუზიური განათლების სპეციალისტები, რათა საბჭოს წევრებს შეძლებოდათ სკოლის სპეციფიკიდან გამომდინარე დაეზუსტებინათ ინკლუზივთან დაკავშირებული საკითხები. თამარ შენგელიას განცხადებით, ცენტრმა გაიზიარა საბჭოს წევრების შუამდგომლობა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს

ინკლუზიური განათლების განვითარების სამართველოდან მოწვეულ იქნა თამარ ჟღენტი, ხოლო სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრიდან ხათუნა ბარაბაძე.
სხდომის თავმჯომარის განცხადებით, მთავარ პრობლემას წარმოადგენდა, ის რომ ასეთი ფორმატისა და შინაარსის დაწესებულება, რამდენად იყო შეესაბამისობაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსთან. მისი თქმით, იყო გარკვეული კითხვები, ხომ არ ითვლებოდა სკოლა ჩაკეტილ სივრცედ და რამდენად უპირისპირდებოდა სახელმწიფო პოლიტიკას, რომელიც უფრო ინტეგრაციასთან და სხვა სახის ინკლუზიასთან იყო დაკავშირებული.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, მაია ინასარიძემ და ნინო გვარამაძემ. მათ აღწერეს შეფასების შედეგები და ძირითადი მიგნებები სტანდარტების შესაბამისად.
სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წამომადგენელმა განმარტა, რომ ავტორიზაციის მინიჭების შემდეგ ხდებოდა მასწავლებლების სქემაში ჩართვა და შემდეგ სტატუსის მინიჭება. მისი განმარტებით, თუ კი სკოლა მხოლოდ ეროვნული სასწავლო გეგმით ახორციელებდა საგანმანათლებლო საქმიანობას, ამ შემთვევაში მასწავლებლის სტატუსი რომ მიენიჭებინა სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრს, როგორი კვალიფიკაციის მასწავლებლები უნდა ჰყოლოდა სკოლას, ესეც გასათვალისწინებელი იყო, რა კატეგორიის მასწავლებლები იქნებოდნენ მაძიებელი თუ მოწვეული. აქვე, ხათუნა ბარაბაძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს, სკოლაში მყოფი მასწავლებლები რა კატეგორიას აკმაყოფილებდნენ, ნახეს თუ არა შესაბამისი დოკუმენტაცია, იყვნენ თუ არა საგნის მასწავლებლები, ჰქონდათ თუ არა მინიჭებული სტატუსი და რამდენად აკმაყოფილებდნენ შესაბამის მოთხოვნებს.

ექსპერტის განცხადებით, დასკვნაშიც იყო აღნიშნული, რომ სკოლაში მყოფი მასწავლებლები არ ასწავლიდნენ კონკრეტულ საგანს. ექსპერტის თქმით, სკოლის პოზიცია იყო რომ სპეცმასწავლებლის სტატუსის მისაღებად გამოცდა მხოლოდ წელს იმართებოდა და 6 მასწავლებელი იყო დარეგისტრირებული სპეცმასწავლებლის გამოცდაზე.

ხათუნა ბარაბაძემ განმარტა, რომ უფროსი, წამყვანი, მენტორი მასწავლებლის სტატუსს ამ მასწავლებლებს ვერ მიანიჭებდა სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, თუ მიენიჭებოდა ეს იქნებოდა სპეცმასწავლებლის სტატუსი და სკოლაში სადაც საგნობრივი მასწავლებლები არ იყვნენ, მაშინ ის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება სავარაუდოდ ვერ იქნებოდა. მისი განმარტებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უნდა ყოფილიყო ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლები და ამავე დროს სპეცმასწავლებლებიც.

საბჭოს წევრმა, ლიანა კობესაშვილმა მიმართა კითხვით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განათლების განვითარების სამართველოს წარმომადგენელს, თამარ ჟღენტს, რომ მიაჩნდა თუ არა მიზანშეწონილად ამ ბავშვების ასეთ ინსტიტუციაში ყოფნა და რამდენად შეიძლებოდა ემსჯელათ სკოლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსზე.

თამარ ჟღენტმა აღნიშნა, რომ გაეცნო გადაგზავნილ დოკუმენტაციას სკოლის შესახებ და რამდენადაც იქიდან ირკვეოდა, ერთ-ერთ გამოსავლად საბჭომ ჩათვალა სკოლისთვის, ხომ არ სჯობდა რესურსსკოლის სტატუსის განხილვა მომხდარიყო ამ შემთხვევაში. ამ მიმართულებით, მან აღნიშნა, რომ „რესურსსკოლა“ ასეთი ჩანაწერი „ზოგადი განათლების შესახებ კანონში“ ორ პუნქტად იყო ჩაშლილი, ერთი ეხებოდა იმ სკოლებს, რომლებიც უკვე

არსებობდნენ სისტემაში და ამ ეტაპზე აღნიშნული სკოლების რეფორმა მიმდინარეობდა და ეს ჩანაწერი შეიქმნა იმისთვის რომ რეფორმის საფუძველი გამხდარიყო. მისი განმატებით, 7 რესურსსკოლა არსებობდა, რომლებიც მუშაობდნენ სხვადასხვა სირთულეების მქონე მოსწავლეებთან და სამინისტროს პოზიცია იყო ის რომ ამ ეტაპზე საკმარისი იყო ის რესურსსკოლები რაც არსებობდა და ამ მიმართულებით ახალი რესურსსკოლების შექმნის საჭიროება არ იყო, პირიქით, დეინსტიტუციონალიზმის პოლიტიკა იქით მიდიოდა რომ ყველაფერ ამას ეწინააღმდეგებოდა, ასეთი ინსტიტუციების არსებობა.
მისი განცხადებით, მასწავლებლებთან დაკავშირებულ პრობლემას, რესურს სკოლის სტატუსიც ვერ მოაგვარებდა ამ თემას, იმიტომ რომ რესურს სკოლა იყო ჩვეულებრივი სკოლა, რომელიც ახორციელებდა ეროვნული სასწავლო გეგმას და ფუნქციონირებდა შესაბამისად. მიმდინარეონდა საგნობრივი სწავლება, გარდა იმისა, რომ სხვა დამატებითი მომსახურებაც ხდებდა მოსწავლეებთან მიმართებით.
მისი განცხადებით, სამინისტროს პოლიტიკა და დამოკიდებულება ის იყო რომ ინკლუზია გულისხმობდა სრულ ჩართვას მოსწავლის სასწავლო პროცესში სხვა ბავშვებთან ერთად, შესაძლებლობებიდან გამომიდინარე.

სხდომის თავმჯდომარემ საკუთარი პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

სკოლის დირექტორის, განმარტებით ა(ა)იპ - თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრი, როგორც სამკურნალო პედაგოგიური სკოლა იყო წევრი საერთაშორისო სამკურნალო პედაგოგიკის ასოციაციის. სკოლა თავის საქმიანობისას ხელმძღვანელობდა ვალდორფის სამკურნალო პედაგოგიკის აპრობირებული მეთოდით. მისი თქმით, სკოლის მკურნალ პედაგოგებს გავლილი ჰქონდათ 2 წელიწადნახევრიანი კურსები,რომელშიც შედიოდა საგნობრივი სწავლებაც. სკოლა ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტირებული პროგრამით ხელმძღვანელობდა, რომელიც სამინისტროსთან იყო შეთანხმებული. სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, ორი წინარე ავტორიზაციის დროს სამინისტრო ინფორმირებული იყო თუ რა პროგრამით მიმდინარეობდა სკოლაში სწავლება. მისი განმარტებით, სკოლაში იყვნენ ღრმა და მძმე ჩამორჩენის ბავშვები, რომლებისთვისაც შეუძლებელი იყო საჯარო სკოლებში სწავლა და ადაპტაცია. აღნიშნული მოსწავლეების მშობლებს უნდა ჰქონოდათ არჩევანის შესაძლებლობა. მისი განცხადებით, მათ სკოლასა და დღის ცენტრს შორის სხვაობა ძალიან დიდი იყო. ისინი სთავაზობდნენ ორივე მომსახურებას, მაგრამ მოსწავლეები ასაკობრივად იღებდნენ შესაბამის განათლებას და ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტირებული პროგრამით მიდიოდა სწავლება სკოლაში.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათ სკოლაში მასწავლებლებს მკურნალი პედაგოგების სტატუსი ჰქონდათ, რომელიც პედაგოგიური დახელოვნების ინსტიტუტთან ერთად ჰქონდათ გავლილი და სერტიფიკატებსაც ფლობდნენ. მისი თქმით, წინა ავტორიზაციის დროს ასეთი შენიშვნები არ მიუღიათ, გამომდინარე აქედან, თუ საჭირო იქნებოდა სკოლა მიმართავდა შესაბამის ზომებს. მისი განცხადებით, სკოლას ორჯერ ჰქონდა ავტორიზაცია გავლილი და ახლაც იმედოვნებდნენ, რომ კვლავ მიენიჭებოდათ მორიგი ავტორიზაცია.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები ხომ არ ჰქონდათ.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა მიმართა სკოლის წარმომადგენლებს კითხვით, რომ აღნიშნული პედაგოგები, რომლებსაც გავლილი ჰქონდათ სპეცმასწავლებლის კურსი და იყვნენ სერტიფიცირებულები და არ ჰქონდათ საგნობრივი შესაბამისობა, რომ ჩაებარებინათ საგნის

გამოცდა, ასევე, დამატებით გაეარათ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი 60 კრედიტიანი კურსები და მოეპოვებინათ მასწავლებლობის უფლება, იყო თუ არა სკოლაში აღნიშნულზე მზაობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ წინა ავტორიზაციების დროს მსგავსი მოთხოვნები არ ყოფილა, ცოტა ადრე რომ ყოფილიყო სკოლა აღნიშნული შესახებ ინფორმირებული, ამჟამად ყველა მასწავლებელს ექნებოდა საგნის გამოცდა ჩაბარებული, იმიტომ რომ სკოლაში იყვნენ ისტორიკოსები, ფიზიკოსები, ფილოლოგები და ა.შ. მისი განცხადებით სკოლა მზაობას გამოხატავდა საგნის გამოცდების ჩაბარებასთან დაკავშირებით.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები, ხომ არ ჰქონდათ.
საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 100 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრისავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 100 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს ა(ა)იპ - თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრის მონიტორინგის თაობაზე 2 წლის ვადაში, იმ დროისთვის მოქმედი ავტორიზაციის ყველა სტანდარტის შესაბამისად მომხდარიყო დაწესებულების შეფასება.

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ - თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრს (ს/კ 204892704) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი და საბაზო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 100 - ით.

2. შპს ოქლიფის სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით.
საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, სერგო დურგლიშვილმა და ნინო ბალანჩივაძემ. მათ აღწერეს შეფასების შედეგები და ძირითადი მიგნებები სტანდარტების შესაბამისად.
ექსპერტის განცხადებით, ცენტრის დირექტორის ბრძანების თანახმად მიმდინარე წლის 23 – 24 აგვისტოს ქ. თბილისში, შპს ოქლიფის სკოლაში განხორციელდა ვიზიტი ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების თაობაზე. ექსპერტთა ჯგუფმა უფლება-მოვალეობების ნაწილი განახორციელა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, ასევე, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შემოწმება განახორციელდა ადგილზე, ვიზიტის განხორციელებით. მონიტორინგის განხორციელების საფუძველთან მიმართებით, ექსპერტმა აღნიშნა, რომ შეიცვალა სკოლის დამფუძნებელი და შესაბამისად, განხორციელდა რიგი ცვლილებები დაწესებულებაში. კერძოდ, სკოლამ შეიცვალა მისამართი და ქ. ფოთიდან გადმოვიდა ქ. თბილისში, შეიცვალა სახელწოდება და ნაცვლად ,,შპს თამარ ფაჩულიას საავტორო სკოლა-გიმნაზიისა“ დღევანდელ სახელწოდებას წარმოადგენდა შპს ოქლიფის სკოლა, ასევე, სკოლას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი მოპოვებული ჰქონდა სამივე საფეხურზე და მოცემული მდგომარეობით სურდა მხოლოდ საშუალო საფეხურზე საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება. გარდა ამისა, სკოლას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული ჰქონდა 150 მოსწვალით და ამ ეტაპზე სურდათ ამ რაოდენობის შემცირება და 50 მოსწავლით განსაზღვრა.
ექსპერტის განმარტებით, ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებების გათვალისიწინებით სამივე სტანდარტის მიხედვით განხორციელდა სკოლის შეფასება და წარმოდგენილი რესურსებით დაწესებულებასთან მიმართებით ხარვეზები და რეკომენდაციები არ დაფიქსირებულა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები, ხომ არ ჰქონდათ. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
დაწესებულების დირექტორმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული სამუშაოსთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ოქლიფის სკოლის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს

ადმინისტრაციული წარმოება შპს ოქლიფის სკოლის(ს/კ 215149284) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

3. ,,შპს თამარ ფაჩულიას საავტორო სკოლა-გიმნაზიის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 15 თებერვლის N13 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა

ცენტრის წარმომადგენელმა, თამარ შენგელიამ საბჭოს წევრებს მიმართა შუამდგომლობით, რომ შესულიყო ცვლილება ,,შპს თამარ ფაჩულიას საავტორო სკოლა-გიმნაზიის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 15 თებერვლის N13 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, როგორც აღინიშნა დაწესებულებამ შეიცვალა სახელწოდება. ასევე, საფეხურების ჩამონათვალში დაწყებითი, საბაზო საშუალოს ნაცვლად მითითებულიყო მხოლოდ საშუალო საფეხური და მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა 150 მოსწავლის ნაცვლად განსაზღვრულიყო 50 მოსწავლით. აღნიშნული შუამდგომლობა ერთხმად გაიზიარეს დაწესებულების წარმომადგენლებმა და საბჭოს წევრებმა.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ,,შპს თამარ ფაჩულიას საავტორო სკოლა-გიმნაზიის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 15 თებერვლის N13 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, ,,შპს თამარ ფაჩულიას საავტორო სკოლა-გიმნაზიის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 15 თებერვლის N13 გადაწყვეტილების პირველ და მე-2 პუნქტებში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,1. შპს თამარ ფაჩულიას საავტორო სკოლა-გიმნაზიას (,,შპს ოქლიფის სკოლა“ – 21.10.2021 თარიღით დაწესებულების მოქმედი სახელწოდება) (საიდენტიფიკაციო კოდი: 215149284) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით.
2. შპს თამარ ფაჩულიას საავტორო სკოლა-გიმნაზიას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 50-ით.“

16:00 საათზე საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ.

საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 16:00 საათზე.
საბჭოს სხდომა განახლდა 16:10 საათზე.

4. შპს დეას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით.
საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, მარიამ ხუციშვილმა და მაგდა ბარამიძემ. ექსპერტმა აღწერა შეფასების შედეგები და ძირითადი მიგნებები სტანდარტების შესაბამისად.

ექსპერტის განცხადებით, სკოლას ჰქონდა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი. მისი განმარტებით, სკოლას გააჩნდა სპორტული დარბაზი, რომელიც მდებარეობდა ნახევრადსარდაფში, ნახევრადსარდაფს ჰქონდა ბუნებრივი ვენტილაცია და განათება, აღჭურვილი იყო ფანჯრებითაც.
ექსპერტის განმარტებით, სკოლამ ვერ წარმოადგინა სახანძრო-უსაფრთხოების მიწერილობა. შესაბამისად, სკოლას მიეცა რეკომენდაცია აღნიშნულთან დაკავშირებით, რის შემდეგაც სკოლამ მიმართა განცხადებით შესაბამის სამსახურს და უზრუნველყო ამ საკითხის მოგვარება.
ასევე, სკოლის შენობის ერთი კედლის მიმდებარე ტერიტორია არ კონტროლდებოდა ვიდეოკამერით, რასტან დაკავშირებითაც სკოლას მიეცა რეკომენდაცია და კამერების მდებარეობის შეცვლით შესაძლებელი იყო აღმოიფხვრილიყო ეს პრობლემა.
ექსპერტის თქმით, დაწესებულებას ჰქონდა ელექტრონული ფოსტა და Facebook-ის გვერდი, ასევე ვებ-გვერდი (dea.edu.ge.), რომლის განახლებაც ხორციელდებოდა პარალელურ რეჟიმში. მისი თქმით, სკოლამ წარომადგინა დომეინის ხელშეკრულება, თუმცა ვებ-გვერდი ექსპერტთა ვიზიტის ეტაპზე დახარვეზებული იყო და არ ფუნქციონირებდა.
დაწესებულების ვებგვერდთან დაკავშირებით, სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ ამ დროისთვის ეს ხარვეზი აღმოფხვრილი იყო. საბჭოს სხდომის მიმდინარეობის დროს საბჭოს წევრებმაც გადაამოწმეს აღნიშნული გარემოება და სკოლის ვებგვერდი ფუნქციონირებდა.
ექსპერტის განცხადებით, სასკოლო სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის სკოლას ჰყავდა 22 პედაგოგი. მისი განმატრებით, ვიზიტის განხორციელებისას მასწავლებელთა ნაწილს ხელშეკრულების ვადა ჰქონდათ 2021 წლის 5 სექტემბრამდე, ნაწილს 7 სექტემბრამდე. ამასთანავე სკოლას ჰყავდა 6 სტატუს გარეშე პედაგოგი, რომლებიც გავიდნენ 2021 წლის მასწავლბლის საკვალიფიკაციო გამოცდებზე და ელოდებოდნენ შედეგებს.
სკოლის დირექტორის განცხადებით, შედეგების ოფიციალური გამოქვეყნების შემდგომ მოახდენდა შესაბამის რეაგირებას იმ კადრებზე, რომლებიც ვერ დააკმაყოფილებდნენ კანონის შესაბამის მოთხოვნებს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები, ხომ არ ჰქონდათ. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების

ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 220 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.
ამასთან, სკოლის დირექტორმა საბჭოს წინაშე წარმოადგინა შუამდგომლობა მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო საბჭოს სხდომის ჩატარების დღესვე - 6 ოქტომბერს. საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს დეას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 220 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 28-ე მუხლის მეშვიდე პუნქტისა და 29-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, შპს დეას (ს/კ 200055992), მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განესაზღვროს 220 მოსწავლით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2021 წლის 06 ოქტომბერი.

5. შპს აისში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით.
საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილმა. ექსპერტის განმარტებით, სკოლაში მონიტორინგის განხორციელების საფუძველს წარმოადგენდა დაწესებულების განაცხადი ფართის ცვლილების თაობაზე. მან აღწერა შეფასების შედეგები და ძირითადი მიგნებები სტანდარტების შესაბამისად. ექსპერტის განცხადებით, შპს აისი ფუნქციონირებდა ქ. თბილისში. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით სკოლას გაფორმებული ჰქონდა იჯარის ხელშეკრულება 10 წლის ვადით. ექსპერტის განმარტებით, ვიზუალური დათვალიერებისას

საკლასო ოთახებში განთავსებული იყო 241 ცალი ინდივიდულაური მერხი სკამით, სულ შენობაში 16 საკლასო ოთახი იყო. ექსპერტის თქმით, სართულებზე გადაადგილება შესაძლებელი იყო როგორც შიდა კიბით, ასევე ლიფტით. შენობის მთელი ტერიტორია ადაპტირებული იყო შშმ პირებისთვის. ექსპერტის განცხადებით, დაწესებულება აკმაყოფილებდა მოთხოვნილ სტანდარტს და სკოლის ადმინისტრაცია მზაობას გამოხატავდა გაცემული რჩევებისა და რეკომენდაციების გაზიარების თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები, ხომ არ ჰქონდათ.

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ მიმართა სკოლის წარმომადგენლებს კითხვით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ შესაბამისად პროექტი, რომელიც სკოლას ჰქონდა გაგზავნილი სამინისტორში, დაუბრუნდათ თუ არა და თუ დაუბრუნდათ შენიშვნები თუ იყო პროექტში. სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, პროექტი არც ჩასწორებული და არც დაკორექტირებული ჯერჯერობით სკოლას არ მიუღია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს აისის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს აისის(ს/კ 204951481) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

6. შპს ცოდნა-ნათელა მურადაშვილის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ საკითხის განხილვა

ცენტრის წარმომადგენელმა, თამარ შენგელიამ განმარტა, რომ შპს ცოდნა-ნათელა მურადაშვილის მიერ წარმოდგენილ იქნა წერილი ცენტრში, სადაც სკოლა აფიქსირებდა, რომ წყვეტდა საგანმანათლებლო საქმიანობას.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ცოდნა-ნათელა მურადაშვილს ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრისშედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 20 - ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის მე-4 პუნქტის, შესაბამისად, შპს ცოდნა-ნათელა მურადაშვილს (ს/კ 209440121) გაუუქმდეს ავტორიზაცია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 16:45 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს სხდომის თავმჯდომარე
მალაზონია დავით



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბოტკოველი ქეთევან